თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა

ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 5 აკადემიური და 29 მოწვეული პედაგოგით.
კრედიტების რაოდენობაა 262 საშუალოდ, თითო სემესტრში - 30 კრედიტი. თითო აკადემიური წელი მოიცავს 62-65 კრედიტის დაძლევას.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:
მოძღვრის რეკომენდაცია;
საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი;
ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა.

შიდა გამოცდები ტარდება შემდეგ საგნებში:
ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები (ზეპირი);
საქართველოს ისტორია (ზეპირი);
უცხო ენა (ტესტირება - ინგლისური ენა (A2), რუსული ენა (A2), გერმანული ენა (A2), ფრანგული ენა (A2) ან ახალი ბერძნული ენა (A2).

შიდა გამოცდების ქვედა ზღვარია 51 ქულა, ზედა ზღვარი - 100 ქულა.
მისაღები სტუდენტების რაოდენობაა არაუმეტეს 25 -ისა.

სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია სალექციო და სასემინარო საათები, რომელიც მოიცავს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებსა და აქტივობებს: წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდს; დისკუსია/დებატებს; სემესტრული სემინარების/კოლოკვიუმების მომზადება-ჩაბარებას; ახსნა–განმარტებით მეთოდს; პრეზენტაციის მომზადებას, სემესტრულ/დასკვნით გამოცდებს.

სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც აერთიანებს შუალედურ შეფასებას, კოლოკვიუმისა და სემინარის ქულებს, ლექციებზე დასწრებისა და დასკვნითი შეფასების საერთო ჯამს (გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტმა უნდა მოიპოვოს არანაკლებ 11 ქულისა). სასწავლო კურსი გულისხმობს ლექციებსა და პრაქტიკულ სამუშაოებს მუზეუმებსა და ხელნაწერთა ინსტიტუტში, საველე პრაქტიკის

გავლას (სტუდენტი ვალდებულია ზაფხულის სეზონზე გაიაროს საველე პრაქტიკა და იმუშაოს აზომვით ნახაზებზე ორი კვირის მანძილზე).

I კურსი მოიცავს 68 კრედიტს. ძირითადად დატვირთვა მოდის ჰუმანიტარულ საგნებზე, რათა სტუდენტმა შეძლოს ზეპირმეტყველების და წერის კულტურის დახვეწა, გამოუმუშავდეს წერითი ჩვევები, შეიძინოს საბაზისო ცოდნა ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში, შეისწავლოს მშობლიური ქვეყნის ისტორია, უცხო ენა და გამოიმუშავოს წმ.წერილის ტექსტობრივი დამუშავების უნარი.

II კურსი მოიცავს 81 კრედიტს. (აქედან 28 კრედიტი - სახელოვნებო საგნები, 28 - საღვთისმეტყველო და 20 კრედიტი - ზოგადი). სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გააგრძელოს წმინდა წერილის ტექსტის შესწავლა, გაეცნოს საქართველოს ეკლესიის ისტორიასა და ლიტურგიკას, შეისწავლოს ბიზანტიური მხატვრობისა და არქიტექტურის ისტორია, იკონოგრაფია და დაეუფლოს ხელოვნების ნაწარმოების მხატვრული ანალიზის მეთოდებს.

III კურსი მოიცავს 66 კრედიტს. (აქედან 45 კრედიტი - სახელოვნებო საგნები, 16 - საღვთისმეტყველო და 5 კრედიტი - ზოგადი). სტუდენტი განაგრძობს საბაზისო განათლების მირებას საღვთისმეტყველო დისციპლინებში. მცირდება ზოგადი საგნების კრედიტების რაოდენობა და იზრდება დატვირთვა სახელოვნებო დისციპლინებში. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის შესწავლის ფონზე ისწავლება დასავლეთ ევროპის ხელოვნება მე-12 - მე-17 საუკუნეებში, ასევე ქართული ხატწერა და ხუროთმოძღვრება.

IV კურსი მოიცავს 47 კრედიტს. (აქედან 35 კრედიტი - სახელოვნებო საგნები და 12 - საღვთისმეტყველო). ამ ეტაპზე ხდება ქართული ქრისტიანული ხელოვნების აქცენტირებული სწავლება. სტუდენტები შეისწავლიან შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ცალკეული დარგების ისტორიას, ლექციები ძირითადად ტარდება საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ხელნაწერთა ინსტიტუტში.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების, კომუნიკაციის (ქართულსა და რომელიმე უცხო ენაზე), დარგობრივი ლიტერატურის წაკითხვა-გააზრების, ნაშრომის/ტექსტის გაფორმების უნარები (კონკრეტული ამოცანების დასახვა და დაგეგმილ დროში შესრულება, სხვათა ნაშრომების ციტირება რეფერირების წესების დაცვით და ა. შ.), მას შეუძლია გააგრძელოს სწავლა მომდევნო სასწავლო საფეხურზე ან განაგრძოს დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობა. პროგრამა სტუდენტებს აძლევს ცოდნას თეოლოგისა და ქრისტიანულ ხელოვნებაში. კურსდამთავრებულს უფლება აქვს განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა ან დასაქმდეს მუზეუმში.

ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამა

სასწავლო პროგრამა 2024-2025 წწ.

I კურსი

№	I სემესტრი	სთ.	კრედ.
1.	ახალი აღთქმა I	3	4
2.	აკადემიური წერა	3	4
3.	საქართველოს ისტორია I	2	4
4.	ძველი მსოფლიოს ხელოვნება I	3	5
5.	უცხო ენა I	4	5
6.	ხელოვნების ნაწარმოების მხატვრული ანალიზი I	3	5
7.	ხელოვნების შესავალი	3	5
8.	გალობა (კრედიტგარეშე)		-
9.	ხატვა (კრედიტგარეშე)		-
	ჯამი	**21**	**32**

№	II სემესტრი	სთ.	კრედ.
1.	ახალი აღთქმა II	3	4
2.	ქართული ლიტერატურის ისტორია	3	4
3.	საქართველოს ისტორია II	2	4
4.	ძველი მსოფლიოს ხელოვნება II	3	5
5.	უცხო ენა II	4	5
6.	ხელოვნების ნაწარმოების მხატვრული ანალიზი II	3	5
7.	ეკლესიის ისტორია	3	4
8.	არქიტექტურის საფუძვლები	3	5
9.	გალობა (კრედიტგარეშე)		-
	ჯამი	**24**	**36**

ძირითადი	18	საათი	30	კრედიტი
დამხმარე	6	საათი	8	კრედიტი
თავისუფალი	21	საათი	30	კრედიტი

ჯამი : 45 საათი 68 კრედიტი

II კურსი

№	III სემესტრი	სთ.	კრედ.
1.	ახალი აღთქმა III	3	4
2.	ძველი აღთქმა I	3	4
3.	უცხო ენა III	4	5
4.	ხელოვნების ნაწარმოების მხატვრული ანალიზი III	3	5
5.	საქართველოს ეკლესიის ისტორია I	2	4
6.	ბიზანტიური არქიტექტურა	3	5
7.	იკონოგრაფია	3	5
8.	მსოფლიო ლიტერატურის ისტორია	2	5
	ჯამი	**22**	**37**

ძირითადი	82 საათი	28 კრედიტი
დამხმარე	12 საათი	20 კრედიტი
თავისუფალი	19 საათი	33 კრედიტი

ჯამი : 113 საათი 81 კრედიტი

№	IV სემესტრი	სთ.	კრედ.
1.	ახალი აღთქმა IV	3	4
2.	ძველი აღთქმა II	3	4
3.	უცხო ენა IV	4	5
4.	ხელოვნების ნაწარმოების მხატვრული ანალიზი IV	3	5
5.	საქართველოს ეკლესიის ისტორია II	2	4
6.	ბიზანტიური მხატვრობა	3	5
7.	ლიტურგიკა	2	4
8.	რელიგიების ისტორია	3	5
9.	მსოფლიო ლიტერატურის ისტორია	2	5
10.	საველე პრაქტიკა	40	3
	ჯამი	**64**	**44**

III კურსი

№	V სემესტრი	სთ.	კრედ.
1.	ახალი აღთქმა V	3	4
2.	ძველი აღთქმა III	3	4
3.	ხელოვნების ნაწარმოების მხატვრული ანალიზი V	3	5
4.	ქართული ხუროთმოძღვრება I	3	5
5.	დასავლეთ ევროპის ხელოვნება I	3	5
6.	შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა I	3	5
7.	ფილოსოფია (კრედიტგარეშე)	2	5
	ჯამი	**20**	**33**

№	VI სემესტრი	სთ.	კრედ.
1.	ახალი აღთქმა VI	3	4
2.	ძველი აღთქმა IV	3	4
3.	შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა II	3	5
4.	ქართული ხუროთმოძღვრებაII	3	5
5.	დასავლეთ ევროპის ხელოვნება II	3	5
6.	ქართული პლასტიკის ისტორია	3	5
7.	ქართული ხატწერა (კრედიტგარეშე)	3	5
	ჯამი	**19**	**33**

ძირითადი	27 საათი	45 კრედიტი
დამხმარე	10 საათი	16 კრედიტი
თავისუფალი	2 საათი	5 კრედიტი

ჯამი : 39 საათი 66 კრედიტი

IV კურსი

№	VII სემესტრი	სთ.	კრედ.
1.	ძველი აღთქმა V	3	4
2.	დოგმატური ღვთისმეტყველება	2	4
3.	ხელოვნების ისტორიის კვლევის მეთოდები	3	5
4.	თანამედროვე ხელოვნება	3	5
5.	ქართული ხელნაწერების მინიატურა	3	5
	ჯამი	**13**	**23**

№	VIII სემესტრი	სთ.	კრედ.
1.	ძველი აღთქმა VI	3	4
2.	ქართული საეკლესიო ნაქარგობა	3	5
3.	მუზეუმმცოდნეობა	3	5
4.	სადიპლომო ნაშრომი	42	10
5.	პალეოგრაფია (კრედიტგარეშე)		
	ჯამი	**50**	**24**

ძირითადი 15 საათი 35 კრედიტი

დამხმარე 6 საათი 12 კრედიტი

ჯამი : 63 საათი 47 კრედიტი

კვლევის მეთოდები და საეკლესიო ნაქარგობა შეიცვალა 2024-2025წ.

ჯამი 8 სემესტრის მანძილზე - 262 კრედიტი, 239 საათი

ძირითადი 138 კრედიტი

დამხმარე 56 კრედიტი

თავისუფალი 68 კრედიტი